

შპს ანტგეო

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს ანტგეო (შემდგომში კომპანია წარმოადგენს საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია ფიზიკური პირის ავთანდილ მაისურაძის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2019 წლის 25 ივლისს.

კომპანიას ჰყავს ერთი მფლობელი.

იურიდიული მისამართი: ქ. გორი, თარხნიშვილის ქ., კორპუსი 15, ბინა 22

ფაქტობრივი მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზ. III კმ

საიდენტიფიკაციო კოდი: 418474136

1. ზოგადი დებულებები

1.1 კომპანიის სტრუქტურა:

კომპანიას გააჩნია შემდეგი ობიექტები:

- ქ. გორი, ცხინვალის გზ. III კმ
- ქ. გორი, სოფ. ორთაშენი

ქ. გორი, ცხინვალის გზ. III კმ - ობიექტზე კომპანია ახდენს თავის ძირითად საქმიანობას. აქ ხდება მასალების რეალიზაცია.

ქ. გორი, სოფ. ორთაშენის - ობიექტზე არის ქარხანა, სადაც მიმდინარეობს სარწყავი მილების წარმოება.

1.2 კომპანია 2024 წელს გახდა მესამე კატეგორიის საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.3 კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები.

შპს ანტგეო ფლობს შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებს:

- ISUZU ELF.
- LEXUS RX 450H

2. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:



- მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი.
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტები.

2.1 კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს. დამფუძნებელს აქვს ნება მომავალში კომპანიის გაზრდის და გაფართოების.

2.2 ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

3.1 ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიის“ მიერ. ასევე აქვს სასაწყობო პროგრამა Fina

3.2 ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება:

3.2.1 სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი

3.2.2 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით.

3.3 სალარო ოპერაციების აღრიცხვა:

3.3.1 კომპანიას გააჩნია ერთი სალარო პროდუქციისა და სხვადასხვა საქონლის/მომსახურების ამონაგების აღრიცხვისათვის.

3.3.2 სალარო ოპერაციები აისახება სუბანგარიშზე - 1110

3.4 საბანკო ოპერაციების აღრიცხვა:

3.4.1 კომპანიის ანგარიშები გახსნილი აქვს რეზიდენტ ბანკებში:

- სს „თიბისი ბანკი“
- სს „კრედიო ბანკი“
- სს „საქართველოს ბანკი“

საბანკო ოპერაციები აისახება გამიჯნულად (დიფერენცირებულად) ეროვნულ ვალუტაში:

1210 5, 1210 8 - სს „თიბისი ბანკში“

1210 7 - სს „კრედიო ბანკში“

1210 11 - სს „საქართველოს ბანკი“

Handwritten signature and initials.

უცხოურ ვალუტაში:

1220 6 - სს „თიბისი ბანკში“

3.5 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

3.5.1 ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

შესყიდული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

3.5.2 მიწა და შენობა ნაგებობები აღირიცხება განცალკევებულად, თუ ისინი ერთად არის შეძენილი, მათი ღირებულება გაიმიჯნება.

3.5.3 100 ლარამდე ღირებულების ან/და ერთჯერადი გამოყენების საგნები, აგრეთვე ის საგნები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად, ხარჯებში

3.5.4 ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება მისი ექსპლოატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით

3.5.5 კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა ძირითადი საშუალება ჩაშლილია სუბანგარიშებად.

3.6 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა:

3.6.1 შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით.

3.6.2 არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება საწარმოს მიერ მისი სავარაუდო გამოყენების პერიოდით, სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადის ფარგლებში.

3.6.3 არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა:


3.7.1 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება უწყვეტი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“.

ფასნამატთან დაკავშირებით საქონლის ფასის დადგენა ხდება მენეჯმენტის მიერ და გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები:

- მომწოდებლის ფასი
- რეგიონის სიტუაციის, კერძოდ ბაზრის და კონკურენციის შესწავლა მოცემული პერიოდისათვის.

ა. 

თითოეული პროდუქტის სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად.

3.7.2 ნედლეული და მასალები ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

3.7.3 სამშენებლო-სარემონტო მასალები ჩამოიწერება სამუშაოს შესრულების შემდეგ რემონტის ხარჯებში ან კაპიტალიზდება.

3.7.4 მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

3.8 მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვა:

3.8.1 სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება განცალკევებულად ანგარიშებზე:

1410 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

3110 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

3.9 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა:

3.9.1 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

3.9.2 ამონაგები პროდუქციის, საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან აღირიცხება 6110 და 6190 ანგარიშებზე.

რეალიზაციას ვახორციელებთ ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით. ყოველი რეალიზაციის შემთხვევაში გამოიწერება სასაქონლო ზედნაღები, ხოლო მომსახურების გაწევისას ანგარიშფაქტურა.

ნაღდი ანგარიშსწორებისას ხდება - ჩეკებით რეალიზაცია.

უნაღდო ანგარიშსწორებისას:

- სს კრედო ბანკის განვადება
- თანხის ჩარიცხვა მომსახურე ბანკებში.

3.9.1 არასაოპერაციო შემოსავლები აისახება:

8190 1-კურსთაშორის სხვაობა;

3.9.4 ხარჯების აღრიცხვის შინაარსი-ეკონომიკური შინაარსით

3.9.5 ხარჯები აღირიცხება 7100, 7200, 7300, 7400 სინთეზური ანგარიშების სუბანგარიშებზე.

3.9.6 არასაოპერაციო ხარჯები აღირიცხება 8200 სინთეზური ანგარიშის სუბანგარიშებზე:

8290 1-კურსთაშორის სხვაობა;

8290 2-ჯარიმა/საურავი;

8290 3-დამგვალებები.

3.10. დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალი:

ს. 

შპს ანტეგოს 100%-იანი დაფუძნებულია ფიზ.პირ ავთანდილ მაისურაძე (პ/ნ 59001012150).

დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანილი თანხები აღირიცხება 5150 ანგარიშზე.

3.11. გრძელვადიანი სესხების აღრიცხვა:

გრძელვადიანი სესხები აღირიცხება დიფერენცირებულად, დამატებით გახსნილ სუბანგარიშებზე - 4190 ანგარიშზე;

გრძელვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტებიც აღირიცხება განცალკევებულად, დამატებით გახსნილ სუბანგარიშებზე - 8210 ანგარიშზე;


3.12 საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა:

3.12.1 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.

3.12.2 კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტი და დაბეგვრის წესი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსით.

3.12.3 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

შპს ანტეგოს-ს დირექტორი:



ავთანდილ მაისურაძე

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2024 31/12/2023 31/12/2022

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	316414	63530	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	138934	664177	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	615940	0	0
მარაგები	0	563064	0
მზა პროდუქცია	0	563064	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	758852	2708	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	360723	385533	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2190863	1679012	0
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	30607	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	2107	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	11251	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	631214	411204	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	158380	0	0
სულ ვალდებულებები	802952	441811	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	2000	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1387911	1235201	0
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1387911	1237201	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2190863	1679012	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	1830140	1235201	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

ა. 

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	3320924	2335707
საქონლის გაყიდვიდან	3320924	2335707
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2197619	-1609008
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1123305	726699
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23206	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-256887	-192143
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-27418	-26907
საპროცენტო შემოსავალი	26	0
საპროცენტო ხარჯი	-56684	-22435
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	-123491
სულ საოპერაციო ხარჯები	-317757	-364976
საოპერაციო მოგება	805548	361723
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-283560	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	521988	361723
მოგების გადასახადის ხარჯი	893503	932703
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1415491	1294426
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1415491	1294426
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1237201	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1237201	-59225
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-27580	2000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1387911	1237201
კლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ა. ზეზ

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
 საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
 ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)
 ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

31/12/2024	31/12/2023
252884	63530
0	0
0	0
252884	63530
0	0
63530	0
316414	63530

